ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №1029/10/081

ქ. თბილისი 05 აგვისტო 2019 წ.

ერთის მხრივ, **ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის** რაიონის გამგეობა (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) **ირმა ზავრადაშვილის** სახით და მეორეს მხრივ ფიზიკური პირი **ნინო ოშხერელის** (პ/ნ 19001003781 შემდგომში „მიმწოდებელი“) სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის I-ლი „ს[1]“ ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესი“-ს მე-2 მუხლის ა) პუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით;

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ასრულებს სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

2. ხელშეკრულების ობიექტი და შესყიდვის საშუალება

2.1 ხელშეკრულების საგანია – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის **დიდუბის** რაიონის გამგეობის საბიუჯეტო-საფინანსო და შესყიდვების განყოფილებისათვის (სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურეობის სისტემასთან მომუშავე **ოთხ** თანამშრომელზე) სამუშაო ადგილზე სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურეობის სისტემასთან ინტეგრირებული საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშების პროგრამის საკითხებზე საკონსულტაციო და სასწავლო პრაქტიკული მომსახურეობის შესყიდვა.

2.2. შესყიდვის საშუალება - გამარტივებული შესყიდვის საშუალებით; **(CPV კოდი 72266000 – პროგრამულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურებები).**

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **650 (ექვსასორმოცდაათი) ლარი და 00 თეთრი;**

3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლისათვის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა გადასახადს;
3.3 საგადასახადო კოდექსის მუხლი 154, პუნქტი პირველის „დ" ქვეპუნქტის თანახმად მიმწოდებელს საშემოსავლო გადასახადი დაუკავდება შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში;.
4.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე;
4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.
5.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობის საბიუჯეტო-საფინანსო და შესყიდვების განყოფილების თანამშრომელ(ებ)ი.

6. საქონლის მიწოდების ადგილი, ვადა, ხარისხი და გარანტია

6.1. მომსახურების მიწოდება განხორციელდება შემდეგ მისამართზე - ქ. თბილისი, **აკაკი ბელიაშვილის ქ. №1, დიდუბის** რაიონის გამგეობის ადმინისტრაციული შენობა.
6.2. მომსახურების მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად, 2019 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით.
6.3. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული მომსახურება იქნება ხარისხიანი და ამ სფეროში დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისი.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის მონიტორინგი;
7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს მომსახურება სათანადო ხარისხით.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით;
8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;
8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
8.5. ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;
9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
9.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;
9.4. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.3. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება მიღების განზრახვის შესახებ;
9.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება შეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერიდან და მოქმედებს 2020 წლის 26 იანვრის ჩათვლით.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1. „შემსყიდველი" უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და „შემსყიდველის" მოთხოვნებთან.

13.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს:

საორგანიზაციო განყოფილების უფროსი თამარ მაისურაძე
საბიუჯეტო-საფინანსო და შესყიდვების განყოფილების უფროსი ლერი ტყებუჩავა

13.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ „შემსყიდველი" დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს" წუნდების მიზეზების მითითებით.

13.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს", საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

14.2. მიმწოდებელს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი"

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
დიდუბის რაიონის გამგეობა
ს/კოდი: 202171167
მის: ქ. თბილისის, აკაკი ბელიაშვილის ქ. №1
ქ.თბილისი, "სახელმწიფო ხაზინა"
ა/ა № GE24NB0330100200165022
ბანკის კოდი TRESGE22

გამგებელი:

_______________ ი.ჭავჭავაძე[illegible]

„მიმწოდებელი"

ფიზიკური პირი ნინო ოშხერელი
პ/ნ 19001003781
სს „საქართველოს ბანკი
ბ/კ BAGAGE22
ა/ა N GE05BG0000000225403500
ტელ: 514 744 477

ფ/პ:

_______________ ნ. ოშხერელი

ხელწერილი

ქ.თბილისი 05 აგვისტო 2019 წელი

ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა ქ. თბილისის დიდუბის რაიონის გამგეობის მიერ 2019 წლის 05 აგვისტოს გაფორმებული №10.29/10/081 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობის საბიუჯეტო-საფინანსო და შესყიდვების განყოფილებისთვის (სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურეობის სისტემასთან მომუშავე ოთხ თანამშრომელზე) სამუშაო ადგილზე სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურეობის სისტემასთან ინტეგრირებული საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების პროგრამის საკითხებზე საკონსულტაციო და სასწავლო პრაქტიკული სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

რაიონის გამგებელი ირმა ზავრადაშვილი

საორგანიზაციო განყოფილების უფროსი თ. მაისურაძე

საბიუჯეტო-საფინანსო და შესყიდვების განყოფილების უფროსი ლ. ტყებუჩავა